სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობები
თამაშის წესები

პოკერი

პოკერის ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობის სისტემურად გადმოცემა
ხდება უცხოელი მომწოდებლის მიერ. ყველა სახის პოკერის თამაშზე მოგების გაცემის ე.წ. „რეიკის“ პროცენტია 6.0% და შესაბამისად მოგების გაცემის პროცენტია 94.0%.
ორგანიზატორი რეიკის პროცენტს იღებს თამაშის თითოეული ხელიდან (პარტიიდან).
ვებ-გვერდზე შესაძლებელია პოკერის შემდეგი თამაშების თამაში:

- ტეხასური ჰოლდემი
- ომაჰა

ვებ-გვერდზე განთავსებული ყველა სახეობის პოკერის დენომინაციებია:

- მინიმალური ფსონი 0,02 ლარი
- მაქსიმალური ფსონი 7800 ლარი

აქცია

50.000₾ Main Event ეს არის პოკერის Re-Entry-ის ტურნირი ულიმიტო ჰოლდემში, რომელიც გაიმართება შაბათს, 25 აპრილს, 20:00 საათზე, ხოლო საპრიზო ფონდი 50.000₾-ს შეადგენს.
ტურნირზე მონაწილეების მინიმალური რაოდენობა შეადგენს 20 მოთამაშეს. თუ მოთამაშე წააგებს ჩიპების სრულ რაოდენობას, მას შეუძლია გააკეთოს ბაი-ინ ორჯერ და შეუერთდეს ტურნირს თავიდან. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მოთამაშეებმა უნდა ითამაშონ ნებისმიერ ქეშ-მაგიდებზე და გამოიმუშავონ 100₾ რეიკი ან განახორციელონ 100₾-იანი Buy-in და მიიღონ ტურნირის ბილეთი.
ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბეთლაივის ყველა SMS და ID ვერიფიცირებულ მომხმარებელს.

ჰოლდემი

ზოგადი მიმოხილვა ამ თამაშის მიზანია ბანკის მოგება. მას იგებს ის მოთამაშე, რომელიც ქმნის საუკეთესო 5 კარტიან პოკერის ხელს, 2 დახურული კარტისა და და 5 საერთო კარტის გამოყენებით. ტეხასურ ჰოლდემს თამაშობს მინიმუმ ორი და მაქსიმუმ ათი მოთამაშე 52 კარტიანი ბანქოს გამოყენებით. თამაშის მიმდინარეობა მოთამაშეებს ურიგდებათ 2 კარტი თითოეული ხელის დასაწყისში. ამ კარტს ე.წ.‘ჯიბის’ კარტები ქვია, შემდეგ მაგიდაზე რიგდება 5 საერთო კარტი. მოთამაშეებს ამ საერთო 7 კარტიდან შეუძლიათ ნებისმიერის გამოყენება 5 კარტიანი კომბინაციის შესაქმნელად, რომელიც შესაბამისად იგებს ბანკს.
თამაშის ნაირსახეობა ლიმიტირებულ პოკერში მაქსიმალური ფსონის გაზრდა ე.წ. „რეიზი“ შეთანხმებულია თამაშის დაწყებამდე. მაგალითად: 1/2 ლიმიტ თამაშში ბეტიც და რეიზიც 1-ია. ბოლო ორ რაუნდში ბეტი და რეიზი 2-ია. პოტ ლიმიტის თამაშში ფსონის ე.წ. „ბეტის“ და რეიზის მაქსიმალური თანხა უნდა უდრიდეს იმ მთლიან თანხას, რაც ბანკშია იმჟამად. პოტ ლიმიტის პოკერის თამაშებში რეიზების რაოდენობა არ არის შეზღუდული. ულიმიტო თამაშებში ბეტების რაოდენობაც არ არის შეზღუდული. ყველა მოთამაშეს შეუძლია ნებისმიერი ბეტის ჩამოსვლა რაუნდში, რომელიც შეესაბამება მინიმალურ (დიდი ბლაინდის თანაბარ) ბეტს.

<u>რაუნდები</u>

ყოველი თამაში იყოფა 4 რაუნდად, რომელიც იქმნება ბლაინდებიდან შესული საწყისი ბანკით. პირველი მოთამაშე, რომელიც ჯდება მაგიდასთან ხდება დილერი და ენიჭება მრგვალი დისკი(დილერის დოლი).

თამაში მიმდინარეობს საათის ისრის მიმართულებით, იმ მოთამაშიდან, რომელიც დილერის გვერდით ზის. ტურნირების დროს , როდესაც მოთამაშეები მაგიდასთან სხდებიან ერთდროულად, ამ დროს თითოეული მოთამაშე იღებს ერთ კარტს და მოთამაშე, რომელიც ყველაზე მაღალ კარტს მიიღებს ის ხდება კარტის დამრიგებელი ანუ დილერი. დილერის დოლი მოძრაობს საათის ისრის მიმართულებით მოთამაშიდან მოთამაშეზე თითოეულ ხელში.

<u>ბლაინდები</u>

დილერის გვერდით მარცხნივ მყოფი ორი მოთამაშე განათავსებს ბრმა ფსონებს ე.წ. ბლაინდებს ('ბლაინდი (ბრმა - ინგლისურად). ეს ფსონები იძულებითია და იძლევა გარანტიას, რომ თამაშის დაწყებისათვის ბანკში არის თანხის რაღაც რაოდენობა. დილერის მარცხნივ მყოფი მოთამაშე განათავსებს 'პატარა ბლაინდს' და მის შემდგომ მყოფი მოთამაშე განათავსებს 'დიდ ბლაინდს', რომელიც ორჯერ აღემატება პატარა ბლაინდის რაოდენობას. მაგ: პატარა ბლაინდი თუ არის 1, მაშინ დიდი ბლაინდი უნდა იყოს 2. თუ მოთამაშეს არ აქვს საკმარისი ჩიპები ბლაინდის დასადებად, ის შედის ყველა ჩიპს (ოლინი). თუ თამაშში ორი მოთამაშეა, პატარა და დიდი ბლაინდის განთავსება მაინც უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში დილერი განათავსებს დიდ ბლაინდს და პირველი რაუნდი იწყება. ფრე-ფლოპი. თითოეულ მოთამაშეს ურიგდება ორი კარტი დახურულად და ყველა მოთამაშე დაინახავს მხოლოდ თავის კარტებს. მოთამაშე, რომელიც მეორე მოთამაშის მარცხნივა არის, დაიწყებს სათამაშო რაუნდს. ამ მოთამაშეს შეუძლია: 1) გაასწოროს დიდი ბლაინდის რაოდენობის თანხა იგივე ქოლი. 2) გაზარდოს ფსონის რაოდენობა იგივე რეიზი 3) დაყაროს კარტები და გავიდეს თამაშიდან იგივე ფოლდი ამის გაკეთება შეუძლიათ სხვა მოთამაშეებს, როცა მოვა მათი რიგი ფსონის ჩამოსასვლელად, იმ დროს, როდესაც ფსონის ჩამოსვლის რიგი მოუწევს მოთამაშეს, რომელმაც დიდი ბლაინდი განათავსა მას შეუძლია გაატაროს, ე.წ. ჩექი თუ სხვა მოთამაშე მანამდე არ გაზრდის ფსონს. თუ სხვა ოპონენტი გაზრდის ფსონს(რეიზი), მოთამაშეს, რომელმაც დიდი ბლაინდი განათავსა, შეუძლია აირჩიოს ქოლი, რეიზი ან ფოლდი. როცა ყველა ფსონი გასწორდება, შეიქმნება საწყისი ბანკი და თამაში შემდეგ რაუნდში გადავა. პირველი სამი საერთო მაგიდის კარტი ე,წ, ფლოპი. ფლოპის დროს მაგიდაზე რიგდება სამი საერთო კარტი, რომლის გამოყენებაც ყველა მოთამაშეს შეუძლია. მოთამაშე, რომელმაც პატარა ბლაინდი განათავსა იწყებს რაუნდს და როცა ყველა ფსონი თანაბარია, თამაში გადადის შემდეგ რაუნდში. მე-4 საერთო კარტი(ტურნი)-ს გადმობრუნების შემდეგ მაგიდაზე იწყება მესამე ვაჭრობის რაუნდი. მეხუთე კარტის დარიგებისას ე.წ. რივერი ბოლო რაუნდი იწყება და როცა ყველა ბეტი თანაბარია, დროა მოთამაშეებმა აჩვენონ თავიანთი კარტები. ჩვეულებრივ ბოლო მოთამაშე, რომელიც ფსონს ჩამოვიდა ბოლო რაუნდში, პირველი ხსნის კარტს. თუ ბოლო რაუნდში ყველა დარჩენილი მოთამაშე გააკეთებს ჩექს (ე.ი არცერთი მოთამაშე ჩამოვა ფსონს); დილერის მარცხნივ მყოფი პირველი მოთამაშე, რომელიც არ გასულა თამაშიდან, გახსნის თავის კარტებს პირველი. საათის ისრის მიმართულებით ყველა მოთამაშე გახსნის კარტებს რიგის მიხედვით, თუ მოთამაშის ხელი უფრო სუსტია ვიდრე მიმდინარე მოგების ხელი, მოთამაშეს აქვს უფლება აჩვენოს ან დაყაროს კარტები. საუკეთესო 5 კარტიანი ხელი მოიგებს ბანკს. თუ მოთამაშეებს აქვთ თანაბარი სიძლიერის ხელი, ბანკი გაიყოფა, თითოეული მოთამაშე უკან წაიღებს შესულ თანხას და გაიყოფს ბანკს.

თამაშის სპეციფიკა გამოტოვებული ბლაინდის წესები
ეს წესი უზრუნველყოფს იმას, რომ მოთამაშეები არ შევიდნენ თამაშში გვიან პოზიციებზე და თავიდან აიცილონ ბლაინდების განთავსება. იმ შემთხვევაში თუ მოთამაშეს უნდა შემოსვლა დაწყებულ თამაშზე, მან უნდა განათავსოს შემოსვლის საფასური, რომელიც დიდი ბლაინდის ტოლია ან აირჩიოს შემდეგი: • დიდი ბლაინდის განთავსება ან • დალოდება დიდი ბლაინდის. თუ მოთამაშე გადაწყვეტს დაელოდოს დიდ ბლაინდს, ის ვერ ვერ შეუერთდება თამაშს მანამ, სანამ დიდი ბლაინდი არ დაუბრუნდება მის პოზიციას. თუ მოთამაშე იჯდა მაგიდასთან და შემდეგ გადაჯდა დიდი ბლაინდის გამოტოვების შედეგად, მას ასევე მოუწევს გამოტოვოს პატარა ბლაინდი და დილერის დოლი. თუ მოთამაშე გამოტოვებს პატარა და დიდ ბლაინდს, მას მოეთხოვება განათავსოს დიდი ბლაინდის თანაბარი თანხა, პლიუს პატარა ბლაინდის მკვდარი ფსონი.
’ოლინი’.
თუ მოთამაშეს დაუმთავრდება ჩიპები, მას არ მოეთხოვება ეგრევე გავიდეს თამაშიდან, მას შეუძლია შევიდეს ’ოლინში’ ანუ ჩამოვიდეს დარჩენილი ჩიპები. თუ ეს მოხდება ბანკი გაიყოფა მთავარ და ცალკე ბანკად ყველა მომდევნო ფსონებით.
თუ მოთამაშე, რომელიც ’ოლინ-ს” შევა ვერ მოიგებს, მოგებული მიიღებს ყველა ჩიპს
(ორივე მთავარ და ცალკე ბანკს). თუ მოთამაშე, რომელიც ოლინ-ში შევა მოიგებს, ის მიიღებს მთავარ ბანკს, მაგრამ გვერდითი ბანკი გადაეცემა მოთამაშეს, რომელიც მეორე „ადგილზეგავა“. თუ
რამოდენიმე მოთამაშე შევა ’ოლინ-ში’, შეიქმნება რამოდენიმე ცალკეული ბანკი. თუ მოთამაშე, რომელმაც მიიღო ოლინის ყველა ბეტი არ შევა ოლინს და ექნება ყველაზე მაღალი კარტების კომბინაცია გახსნისას, ის მიიღებს მთავარ და ცალკეულ ბანკს.
თუ მოთამაშეს, რომელიც უკვე იყო ოლინ-ში, ეყოლება საუკეთესო კომბინაცია, ის მოიგებს იმ ბანკს, რომელიც მის ოლინ-ში შესვლამდე შეიქმნა. ყველა ოლინ-ის მოთამაშე, რომელსაც მაღალი კარტის კომბინაცია ექნება, შეუძლია მოიგოს მხოლოდ ის ბანკი, რომელზეც მას შენატანი აქვს.
მაგიდის ფსონები
ბაი-ინი არის თანხის რაოდენობა, რომელიც მოეთხოვება თითოეულ მოთამაშეს, რათა მონაწილეობა მიიღოს პოკერის თამაშში. ყველა ნაღდი ფულის თამაშს აქვს მინიმალური ბაი-ინი, რომელიც მოეთხოვება მოთამაშეს სანამ ის დაიწყებს თამაშს. ბაი-ნი ლიმიტ პოკერის მინიმალური ბაი-ინის მოთხოვნა 10 ჯერ დიდია დიდ ბლაინდზე. აქ არ მოითხოვება მაქსიმალური ბაი-ინი. მაგალითად, 1/2 ლიმიტ თამაშში დიდი ბლაინდის ღირებულება არის 1, ასე რომ მინიმალური ბაი-ინი არის 10x1 ან 10 პოტი და ულიმიტო, პოტ ლიმიტიან თამაშებს აქვთ მინიმალური და მაქსიმალური ბაი-ნები, მინიმალური ბაინი 20-ჯერ უფრო დიდია პატარა ბლაინდზე და მაქსიმალური 100 ჯერ დიდია დიდ ბლაინდზე. მაგალითად, 1/2 ულიმიტო და პოტ ლიმიტიან თამაშებში, სადაც პატარა ბლაინდი არის 1 და დიდი ბლაინდი არის 2, მინიმალური ბაი-ნი იქნება 20 და მაქსიმალური 200. მაგიდის ფსონები. ყველა თამაშები და ტურნირები მაგიდის ფსონების წესების შესაბამისია. ჩიპის დამატება რაუნდის მსვლელობისას მოთამაშის სტეკზე შეუძლებელია. მოთამაშეებს ჩიპების დამატება შეუძლიათ მხოლოდ რაუნდებს შორის. როდესაც სხვა ტურნირები გთავაზობთ ხელახალ ყიდვას და დამატებებს, ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ ხელის დასრულებისას სანამ, მომდევნო ხელი დაიწყება. თუმცა მოთამაშეებს შეუძლიათ დაიმატონ ჩიპები ხელის მსვლელობისას თუ ამ ხელს თვითონ არ თამაშობენ. მოთამაშეებს არ შეუძლიათ მაგიდიდან ჩიპების აღება თამაშის

მსვლელობისას.ამის გაკეთება მხოლოდ თამაშიდან გასვლის შემდეგ არის შესაძლებელი. არ აქვს მნიშვნელობა თუ რამდენი ჩიპი დევს მაგიდაზე, ეს წესი მაინც მოქმედებს. მაგიდის ფსონების წესები შექმნილია თამაშის დასაცავად და თამაშის მსვლელობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, თუ მოთამაშეს ექნებოდა უფლება ჩაედო რამოდენიმე ჩიპი თავის ჯიბეში ნებისმიერ დროს როცა ის წინ გავიდოდა, მაშინ თამაშისათვის მისაწვდომი ჩიპების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდებოდა.

ომაჰა პოკერი

ომაჰა პოკერს იგივე წესები აქვს, რაც ტეხასურ ჰოლდემს, მაგრამ ორი განსხვავებით:

- თქვენ 2-ის მაგივრად, 4 ჯიბის ბანქოს იღებთ.
- 5 საუკეთესო ბანქოს კომბინაციის შეგროვებისას, ზუსტად 2 ჯიბის ბანქო და 3 საერთო ბანქო უნდა გამოიყენოთ. იყავით ფრთხილად და დაიმახსოვრეთ ეს წესი.

ამ თამაშის პრინციპი არის იგივე, მაგრამ 2 განსხვავებით: ომაჰა პოკერის თამაშისათვის საკმაოდ განსხვავებული სტრატეგიაა საჭირო. ასევე, ომაჰა პოკერი ბანკის ლიმიტიანი ბეთინგის სტრუქტურაში ჩვეულებრივ გაიდახდება.

ტექნიკური გაუმართაობა აუქმებს ყველა თამაშს და გადახდას, მომხმარებელს უბრუნდება დადებული ფსონი.